* პროექტი*

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 24-ით დამტკიცებული:

ა) „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის (დანართი 1)“ 27-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საპრეტენზიო ჯგუფი შედგება 9 წევრისგან და მისი შემადგენლობა ანონიმურია.“;

ბ) „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის (დანართი 2)“:

ბ.ა) IV ნაწილის VI თემა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თემა VI. საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“.“.

ბ.ბ) VI ნაწილის II თემა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თემა II. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 18 სექტემბრის კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონი. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მითითებულ ცვლილებასთან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფას. ამასთან, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით შექმნილი საპრეტენზიო ჯგუფის წევრთა რაოდენობა ნაცვლად 5 წევრისა განისაზღვრება 9 წევრით.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.